



ინდივიდუალური ტოტემიზმი ემილ დიურკემის მიხედვით

ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელი ემილ დიურკემი (1858-1917) განიხილავდა ავსტრალიელ ტომთა ნესჩვეულებებს რელიგიის სოციოლოგიის კუთხით, ხოლო მისი ერთი-ერთი ყურადღების საგანი ინდივიდუალური ტოტემიზმიც იყო. ინდივიდუალური ტოტემიზმი კოლექტიურის საპირისპიროა, როდესაც ტოტემიზმის ე.ი პრიმიტიული რელიგიური სისტემის ქვეშ ექცევა თავად ინდივიდი და არა ტომი. ტოტემიზმში საგანთა თაყვანისცემა მოიაზრება, გარკვეული ტოტემის საკრალიზება და პროფანულისგან გამოცალკევება. ინდივიდუალურ ტოტემიზმი ნაკლები აკრძალვებით გამოირჩევა, კოლექტიურისგან გასწავლებით, რომელშიც როგორც დიურკემი იტყოდა, თავად საზოგადოებაა კონკრეტული რელიგიის სათავე. დღევანდელ სტატიაში შევეცდები პარალელი გავავლო დიურკემის ინდივიდუალური ტოტემიზმის ე.წ. “გადახრასთან”.

პირველ რიგში გავნმარტოთ რა არის “გადახრა”: როდესაც ერთი კონკრეტული პიროვნება წარმოადგენს ტოტემიზმის შემადგენელ ნაწილს, ჩართულია რა საკრალურ ცხოვრებაში პროფანულთან ერთად და თავს მოიაზრებს, იმავე რწმენის მქონე ინდივიდების ჯგუფის წევრად, თუმცა შემდგომ უარყოფს მას და მასზე განვითარებულ რელიგიურ აღმსარებლობაზე გადაერთვება, ან სულაც ათეისტური ხედვით იქნება გამსჭვალული. მაგრამ ყოველთვის როდის მთავრდება ინდივიდუალური ტოტემიზმი, კოლექტიურისგან, ან სულაც ტოტემიზმზე განვითარებულ, ნიგნიერ რელიგიისგან ჩამოშორებით. დიურკემის შემთხვევაში, ერთი კონკრეტული ტომის წევრი, რომელიც ამავდროულად ტომის ტოტემიზმის მიმდევარი იყო, გახდა ქრისტიანი, ჩამოშორდა წინა რელიგიის უმეტეს ჩარჩოებს. თუმცა არა სრულად. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქრისტიანი გახდა და შეეცადა წარსულისთვის ჩაებარებინა ტოტემიზმის ნარჩენები, იგი მაინც ფლობდა ტოტემს. ხსენებული ინდივიდი, მიუხედავად მისი ნათლობისა, საკრალურ აქტებში მონაწილეობისა და ლოცვისა მაინც მიიჩნევდა თავს ერთი კონკრეტული ცხოველის თანამომძემგებობრად. ინდივიდუალური ტოტემიზმის შემთხვევაში უნდა ავლნიშნოთ, რომ პიროვნება ტოტემის, ცხოველს მიიჩნევს მის მფარველ მეგობრად, აქვთ რა ამ ორს რაღაც საერთო მახასიათებლები და პროფანი საკრალურზე გარკვეულ იმედებს ამყარებს. ხსენებულ ინდივიდს სწორედ ასე მიაჩნდა თავი რიგითი ცხოველის მეგობრად და იგი მის მფარველად წარმოესახა. როგორ შეიძლება იყო ქრისტიანი და ამავდროულად იმედებს ამყარებდე ტოტემზე? - მნიშვნელოვანია იმის თქმა რომ ეს კონკრეტული ინდივიდი

საკმაო ხნის განმავლობაში იყო ტოტემიზმის დაქვემდებარებაში, შესაბამისად მან დროისვე შესაბამისად მოახდინა გაკრვეული ზეგავლენა მის რელიგიურ აზროვნებაზე. ტოტემის სიმბოლო ცხოველის რწმენა ნიგნიერი რელიგიის მიღების შემდეგ იმას მოწმობს, რომ კონკრეტულ ინდივიდს ან სრულად არ აქვს გაცნობიერებული რელიგიის საკრალური და პროფანული ბუნება, ან სულაც ძალიან კარგად აქვს და სურს რელიგიის ძველი სისტემის ახლით ჩანაცვლება. რამდენად ძველია ეს პირველი მეორესთან შედარებით ეს ცალკე საკითხია, თუმცა იგი გვეხმარება განსაზღვრავს თემის განვითარებაში. მაგრამ შეიძლება იმის დამატებაც, რომ აქ საუბარი რელიგიის გაცნობიერება არ გაცნობიერებაზე კი არ არის, არამედ აქ სოციალურ ფენომენტთან გვაქვს საქმე. ვარაუდის სახით იმის თქმა შემიძლია, რომ ზემოთ აღნიშნული ინდივიდის ტრანსფორმაცია ტოტემიზმიდან ქრისტიანობაზე შესაძლოა მიგვითითებდეს მისი სოციალური ადაპტაციის მხარეზეც. ეს პიროვნება ფართო ურთიერთკავშირში იყო ევროპელებთან და შეიძლება ვთქვათ, რომ მათი კულტურით ასიმილირებულიც იყო. ასიმილირება განაპირობებს, როგორც ბიოლოგიაშია მიღებული “გადარჩენას”. ასიმილაციის პროცესი მეტნაკლებად წარმატებით დასრულად, იგი ქრისტიანული რელიგიური ცხოვრების ნაწილი გახდა, თუმცა სრულად არა. პირველი მიზეზი იმის თუ რატომ არ მოხდა მისი სრულად გაქრისტიანება, მის წინა რელიგიაში და ახალ რელიგიაში უნდა ვეძიოთ. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიათა საკმაო ნაწილი ერთმანეთს რაღაც სპეციფიკით ჰგავს, ხოლო ჩვენს წინაშეც ზუსტად იმავე შემთხვევაა ტოტემიზმსა და ქრისტიანობას შორის. სპეციფიკის მხრივ აღსანიშნავია ორივე მათგანის სოციალური სტაბილიზაციის როლი. რელიგია ახდენს ადამიანთა ჯგუფის ერთ შემადგენელ ნაწილად კონსულიდაციას. ტოტემიზმი წარმოადგენს ტოტემის საკრალურ ბუნებას იგი არის ერთგვარი მაიდენტიფიცირებელი სახე კონკრეტული ტომის. ტოტემი თაობიდან თაობას გადაეცემა, მისივე მსოფხედველობის თანხლებით, არკძალვებითა და საკრალურ-პროფანული მახასიათებლებით. თუმცაღა ისმევა შეკითხვა აქ რა ესაქმება ინდივიდიალურ ტოტემიზმს, ჩვენი მიზანი ხომ ტოტემიზმიდან ქრისტიანობაზე ტრანსფორმაციის გარკვევაა? -ნამდვილად ასეა, და სწორედ სოციალური სტაბილურობის ასპექტი გვეხმარება ამის გარკვევაში. არ აქვს მნიშვნელობა ინდივიდი ჩამოშორდება თუ არა კოლექტივს, ინდივიდი სოციალური არსებაა, ეს ქმედება მისი ბუნების ნაწილია. ჩვენ გაწერდით ქრისტიანობისა და ტოტემიზმის შედარებაზე, მათი გაკრვეული სპეციფიკების პარალელის შექმნაზე ინდივიდუალური კუთხით. ზემოთ ითქვა, რომ ახლად გაქრისტიანებულ ინდივიდს მაინც აქვს რწმენები ტოტემის შესახებ, ტოტემ ცხოველს მის მფარველად მიიჩნევს. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, აქ ჩვენ ვხვდებით ერთგვარ ტელეპორტს სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფენომენტს შორის. სოციალური, რადგანაც იგი წარმოადგენდა ტომის შემადგენელ ნაწილს, რომლის სიცოცხლისუნარიანობასაც განაპირობებდა ტოტემი, ხოლო იმის შემდეგ რაც იგი ტრანსფორმირდა ქრისტიანად, შეეცვალა მსოფხედველობის უმეტესი ნაწილი, მაგრამ შემორჩა ტოტემიზმის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ელემენტი, მფარველი ქმნილების სახით. პასუხი იმისა თუ რამტომ მოხდა ეს, შეიძლება ითქვას, რომ მისი ფსიქოლოგიური აგებულებაა. ქვეცნობიერად ხდება ერთგვარი გარანტის დატოვება, ტოტემური მფარველი სახით, რომელიც ახდენს გადასვლას პრიმიტიული რელიგიიდან ნიგნიერ რელიგიაზე, ან სულაც პირიქით,

პრიმიტიულ რელიგიურ აზროვნებას იტოვებს, რათა ჰქონდეს ფართო ურთიერთობები პრიმიტიულ საზოგადოებასთან. ხოლო ამ ორივე კომპონენტით, უმეტესი ქრისტიანული რელიგიური რწმენითა და უმცირესი ტოტემურით ხდება ინდივიდის მიერ სოციალური ურთიერთობების დამყარება. ამ შემთხვევის გარდა ჩვენ კიდევ გვაქვს ინდივიდუალური ტოტემიზმის კაზუსი ათეისტ ინდივიდის კუთხითაც. ათეიზმი როგორც მოგვეხსენება წარმოადგენს ანტიისა და თეიზმის ნაერთს, რომელიც უარყოფს ყოველგვარ რელიგიასა და ზებუნებრივ ძალებს, თუმცა რამდენად სრულყოფილად უარყოფენ ხსენებულებს შემდეგი მსოფმხედველობის მქონე ინდივიდები გარკვეულწილად საეჭვო საკითხია. წინა შემთხვევა ტოტემიზმის მიმდევრის ქრისტიანობაზე ტრანსფორმაცია იყო, რომელზეც ორიოდე სიტყვა უკვე ითქვა, მაგრამ ახლა უფრო საინტერესო და იშვიათ ფენომენს, ტოტემის არსებობას ათეისტურ აზროვნებაში ვხვდებით. შესაძლოა ეს ერთგვარ გაუგებრობას ინვევდეს ამ სფეროში ჩახედულ საზოგადოების გარკვეულ ნაწილისთვის და ეს ბუნებრივიც იქნება, რადგანაც ათეიზმი, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ ზებუნებრივ ძალებზე, ღმერთებზე და კონცეპტირებული პროფანულ ცხოვრებაზე, დაკავებულია რა ჰედონიზმითა და მისი შესაძლებლობების რეალიზებით, როგორ იქნება მისი შთაგონების ნაწილი პრიმიტიული რელიგიის ელემენტი? - ზემოთ უკვე ითქვა, რომ რელიგია სოციალური ერთობის სტაბილურობის გარანტია და რატომ არ უნდა იყოს იგი ცხოვრების აზრის ხორცშემსხმელი?, განა სოციალური ერთობა ერთ მიზანს, კეთილ დღეობას არ ემსახურება? . მოდით შევეცადოთ განვაგრძოთ შემდეგი მსჯელობა: ერთი კონკრეტული ინდივიდი ქრისტიანობის მიმდევარი იყო დაახლოებით 15 წელი დაბადებიდან, რამაც შეიძლება ითქვას ასე სრულყოფილად გამოიწვია მასში რელიგიური გრძნობების გაღვიძება, მაგრამ შემდგომ როგორც თავისუფალი ნების მქონემ უარყო რელიგიური დოგმები და ათეისტი გახდა, ხოლო მათ უარყოფას მის მიერ დაგროვებული ცოდნით ხსნიდა. თუმცა ჩვენი დაკვირვების მიზანი არა ათეიზმისა და თეიზმის დაპირისპირება, არამედ ტოტემიზმის ელემენტის არსებობა ათეისტურ აზროვნებაში, მიდვიდვართ შემდეგ შედეგამდე: ათეისტი ინდივიდს არ სწამს რელიგიის, მაგრამ აქვს წარმოსახვითი სიმბოლური ტოტემი მისივე საყვარელი ციფრების სახით, რომელიც პირობითად 333 წარმოადგენს. ეს 333 მასში ერთგვარ რწმენას სახავს, რადგანაც იგი აღარ არის ქრისტიანი და აღარ აღიარებს პერსონიფიცირებული ღმერთის მფარველობას იგი ქმნის ახალ მფარველს ზემოთ ხსენებული ციფრის სახით. რათქმაუნდა ეს ციფრი არ არის ცოცხალი არსება, იგი უბრალო ციფრია, რომელიც მხოლოდ სიმპათიას ინვევს ინდივიდის მიერ. მაგრამ მისმიერ იბადება სწორედ იმედი, რომელიც აძლევს რწმენას, მისი ცხოვრებაში არსებული მოვლენები სწორედ ამ ციფრის მფარველობის ქვეშ მოხვდა. მოვლენები დაფუძნებულია ცხოვრებაში არსებული რესურსების მიერ, რომლებიც ზოგის აზრით ბედად იწოდება ზოგის აზრითაც კი "ითხოვე და მოგეცემა". თუმცა აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ეს ციფრი მისი მფარველია, არამედ ეს ციფრი თავადვე ეს ინდივიდია. რელიგია "ის" იცვლება რელიგია "მე-თი". რელიგია "ის" ალბათ ძნელი მისახვედრი არაა, რომ, ქრისტე პერსონიფიცირებული ღმერთია, ხოლო 333 ე.წ. ეგოისტური. ეგოისტური რადგანაც იგი არა მსოფლიო გამოხსნის იდეას ეფუძნება, არამედ "მეს". შეიძლება დაისვას კითხვა: აქ რა ადგილი აქვს ტოტემიზმის ცნებას, იგი ხომ ტოტემის არსებობით შემოიფარგლება? - ტოტემი წარმოადგენს

საკრალურისა და პროფანულის ურთიერთკავშირს, წარმოსახვითი ტოტემური ქმნილებიდან მის მატერიალურ გამოსახულებამდე, ხოლო 333 უბრალოდ აბსტრაქტული პროდუქტია, თუმცა იგი, როდესაც მისი შემქმნელის მიერ იქნება აღქმული რომელიმე აქტივობისას, იგი იღებს სწორედ, როგორც საკრალურ ასევე პროფანულ დატვირთვის-ამ ციფრის ნახვა მასში რწმენას სახავს და იგი მიიჩნევს, რომ მისი დანახვით უზრუნველყოფილი იქნება წარმატებით, რაც როგორც ვხედავთ ზებუნებრივ ძალაზე დგას.